## კონკურსი აჭარის ა.რ. ფიზიკის მასწავლებლებისთვის - ერთკვირიანი სტაჟირება ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში - 2027

➡ ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს **საჯარო და კერძო სკოლის** ფიზიკის მასწავლებელთა კონკურსს ქ. ჟენევაში (შვეიცარია) მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიანი სტაჟირებისათვის.

➡ კონკურსის შედეგად შეირჩევა ფიზიკის 4 პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებიდან. სტაჟირება 2027 წლის 23 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით გაიმართება. აჭარის განათლების ფონდი სრულად უზრუნველყოფს სტაჟირების მონაწილეთა მგზავრობის, საცხოვრებელ და დღიურ ხარჯებს.

**შენიშვნა[1]:** ***კერძო სკოლის მასწავლებლის სტაჟირება დაფინანსდება სკოლის მიერ.***

➡ სტაჟიორი ვალდებულია ვიზიტის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, სკოლაში შექმნას არანაკლებ 10 წევრისაგან (მოსწავლე) შემდგარი სასკოლო კლუბი, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ ერთი სასწავლო წლით.

➡ კონკურსის პირობები:

**კონკურსში მონაწილე:**

1. უნდა ასწავლიდეს **აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო ან კერძო სკოლაში;**

   ***შენიშვნა[2]:*** *კონკურსში კერძო სკოლის მასწავლებლის მონაწილეობის შემთხვევაში, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სკოლის ადმინისტრაციის თანხმობა დაფინანსების თაობაზე.*
2. **უნდა ჰქონდეს დადასტურებული ფიზიკის საგნობრივი კომპეტენცია ან/და გააჩნდეს ფიზიკის მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხი;**
3. **არ უნდა ქონდეს გავლილი სტაჟირება ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში - CERN.**

➡ კონკურსის ეტაპები:

**კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:**

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა

II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, განხორციელებული პროექტ-გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და შეფასება.

➡ საჭირო დოკუმენტაცია:

1. **CV ქართულ ენაზე**
2. **პირადობის მოწმობის ასლი**
3. **დიპლომის ასლი**
4. **ფიზიკის მასწავლებლის საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ფიზიკის მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხი**
5. **ცნობა სკოლიდან ფიზიკის სწავლების შესახებ**
6. სკოლაში განხორციელებული სასწავლო პროექტი-გაკვეთილი ფიზიკაში პრეზენტაციის (**Power Point-ის**) **სახით** (15 სლაიდი/თხრობის ხანგრძლივობა 15 წუთი)

## ➡ პრეზენტაციის აღწერა:

**პრეზენტაციის წარდგენა უნდა მოიცავდეს ორ სავალდებულო ნაწილს:**

**1. კანდიდატის საუკეთესო პრაქტიკა ფიზიკის სწავლების პროცესში** -

სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს კანდიდატის მიერ რეალურად განხორციელებული ერთი კონკრეტული საგანმანათლებლო პრაქტიკა - გაკვეთილი, ექსპერიმენტი, პროექტი, კვლევითი დავალება, STEM აქტივობა, ფიზიკის კლუბის საქმიანობა ან სწავლების სხვა გამოცდილება.

**პრეზენტაციაში სასურველია აისახოს:**

- **კონტექსტი და მიზანი** - რა საჭიროებას პასუხობდა წარმოდგენილი პრაქტიკა და რა იყო მისი მიზანი;
- **ფიზიკის საგნობრივი საფუძველი** - რა ფიზიკურ საკითხებს მოიცავდა აქტივობა და რამდენად სწორად იყო გამოყენებული შესაბამისი საგნობრივი ცოდნა;
- **მეთოდოლოგია და მოსწავლეთა ჩართულობა** - როგორ დაიგეგმა და განხორციელდა აქტივობა, რა როლი ჰქონდათ მოსწავლეებს კვლევის, ექსპერიმენტის, დაკვირვებისა თუ პრობლემის გადაჭრის პროცესში;
- **შედეგები და გავლენა** - როგორ აისახა განხორციელებული პრაქტიკა მოსწავლეთა ცოდნაზე, უნარებზე, მოტივაციასა და ჩართულობაზე;
- **პროფესიული რეფლექსია** - რას მიიჩნევს კანდიდატი განხორციელებული პრაქტიკის ძლიერ მხარედ და რას გაუმჯობესებდა მომავალში.

***შენიშვნა³:*** **პრეზენტაციას უნდა ახლდეს ამსახველი ფოტო ან ვიდეომასალა, რომელიც დაადასტურებს წარმოდგენილი პრაქტიკის რეალურად განხორციელებას და წარმოაჩენს კანდიდატის პირად წვლილს.**

**2. ცერნისა და მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა - კანდიდატმა უნდა წარმოაჩინოს:**

- რა იცის ცერნის საქმიანობისა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- რა პროფესიული საჭიროებები და ინტერესები აქვს, რომელთა განვითარებასაც აღნიშნული პროგრამა შეუწყობს ხელს;
- როგორ უკავშირდება ცერნის საქმიანობა და პროგრამის შინაარსი მის დღევანდელ პედაგოგიურ პრაქტიკას;
- რა მოლოდინები აქვს სტაჟირებისგან;
- როგორ გამოიყენებს სტაჟირების ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას საკუთარ სასწავლო პროცესში;
- როგორ გაუზიარებს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს, სკოლას, პროფესიულ საზოგადოებასა და ფიზიკის სხვა მასწავლებლებს.

## ➡ დოკუმენტაციის მიღების პირობა და ვადა:

**ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია და პრეზენტაცია უნდა გამოგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ajaraedufund@gmail.com**

**დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2026 წლის 30 ნოემბერი (18.00 სთ)**

***შენიშვნა³:***

*1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!*

*2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!!!*

## → კანდიდატების შერჩევა:

კანდიდატების შერჩევას განახორციელებს აჭარის განათლების ფონდის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია წარდგენილი პრეზენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრების განრიგის შესახებ კანდიდატებს ინფორმაცია მიეწოდებათ მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე. კონკურსანტებთან გასაუბრება ჩატარდება პირისპირ. სავარაუდო თარიღი: 7-11 დეკემბერი, 2026 წ.

## → შეფასების კრიტერიუმები

კანდიდატები შეფასდებიან წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და შეფასების რუბრიკის საფუძველზე.

## → შეფასებისას ყურადღება მიექცევა:

- ფიზიკის საგნობრივი შინაარსის გააზრებასა და სწორად გამოყენებას;
- სწავლების მეთოდოლოგიასა და ეფექტიანი სასწავლო მიდგომების გამოყენებას;
- მოსწავლეთა ჩართულობასა და წარმოდგენილი პრაქტიკის შედეგებს;
- კანდიდატის პროფესიულ რეფლექსიასა და განვითარების ხედვას;
- ცერნისა და მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობას;
- სტაჟირების შედეგად მიღებული ცოდნის სასწავლო პროცესში გამოყენებისა და კოლეგებისთვის გაზიარების მზაობას.

## → ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:

**ლალი ლომთათიძე**
დირექტორის მოადგილე,
ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი
**საკონტაქტო ტელეფონი:** 599 940 466
**მისამართი:** ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #123